353.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. აგვისტოს 25. № 20 ტფილისი.

შინაარსი

სახელმწიფო მმართველობა.

120. ბავშვთა თავაწყვეტილობისა და ქუჩაში ხულიგნობისათვის საადმინისტრაციო წესით მათი მშობლების პასუხისმგებლობის შესახებ.

მშენებლობა.

121. სამშენებლო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ერთიანი ნორმებისა და შეფასების განხორციელების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

122. საქართველოს სსრ-ში 1935 წელს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

ფინანსები.

123. იმ მეტრობითი გამოსაღების გაუქმების შესახებ, რასაც ბათომის საქალაქო საბჭო სავაჭრო-სამრეწველო სადგომების მფლობელთ ახდევინებს.

124. სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო, საკანცელარიო და სხვა, არასაცხოვრებელი ხასიათის სადგომების საიჯარო ქირიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ანარიცხების გადადების შესახებ.

განათლება.

125. „ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის თაობაზე" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

120. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ბავშვთა თავაწყვეტილობისა და ქუჩაში ხულიგნობისათვის საადმინისტრაციო წესით მათი მშობლების პასუხისმგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესებულ იქნას, რომ ბავშვთა თავაწყვეტილობისა და ქუჩაში ნობისათვის მათ მშობლებს შეიძლება დაედვას საადმინისტრაციო წესით ფულადი ჯარიმა ორას მანეთამდე.

2. აღნიშნული გადასახდელი დაიდება ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით დადგენილი წესით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. თ. ყლენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **გ. სტურუა.**

1935 წ. ივლისის 1. № 61/899.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 159 №-ში 1935 წ. ივლისის 10.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

121. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ს. Კ. Ს.

სამშენებლო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ერთიანი ნორმებისა და შეფასების განხორციელების შესახებ.

„სამშენებლო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ერთიანი ნორმებისა შეფასების განხორციელების შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის აპრილის 21-ის დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად („ზარია ვოსტოკას" 1935 წ. 95 №-ი), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ორი დეკადის ვადაზე:

ა) შეამოწმოს და განიხილოს სახელმწიფო სანარდო და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობა მათი განმტკიცების მიზნით;

ბ) განსაზღვროს იმ საშენებელთა ნუსხა, რომელთა მიმართაც შეიძლება შენარჩუნებულ იქნას სამუშაოების სამეურნეო წესით წარმოება, და იმ საშენებლებისა, რომელთა სამუშაოებიც უნდა გადაეცეს სანარდო ორგანიზაციებს;

გ) წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება სათანადო ღონისძიებათა შესახებ.

2. მიენდოს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირს (სარეწაო კავშირი) ერთი თვის ვადაზე გადასინჯოს სამშენებლო არტელების ქსელი მათი დამსხვილების თვალსაზრისით და წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ამ გადასინჯვის შედეგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. განმეორებით დადასტურებულ იქნას სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამშენებლო ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ შეუწყნარებელია მუშა-ძალის მოგროვება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მუშა-ძალის ორგანიზებულად მოგროვების მომწესრიგებელი კომისიის სათანადო განაწესების გარეშე.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს, სამრეწველო ბანკისა და სრულიად საკავშირო კოოპერატიული ბანკის ამიერკავკასიის კონტორებს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორას—მშენებლობის დაფინანსების დროს დაამყარონ საჭირო კონტროლი სამშენებლო სამუშაოების ერთიან შეფასებათა სწორედ შეფარდებისათვის და საქმეები ამის დარღვევის შესახებ გადასცენ ხოლმე პროკურატურის ორგანოებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად; თანაც იმავე დროს აცნობონ ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ სათანადო საუწყებო ორგანიზაციებს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს—მისცეს პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს მითითებანი—დააჩქარონ ერთიან შეფასებათა დარღვევის შესახები საქმეების განხილვა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.-ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. ივნისის 29. № 861.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

122. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ცკ.

საქართველოს სსრ-ში 1935 წელს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

„ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში 1935 წელს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. ივნისის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმ. კომ. „იზვესტიას“ 142 №-ი 1935 წ. ივნისის 18), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ-თვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სისტემების საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში, საკოლმეურნეო კომლებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში 1935 წლის მონაშენიდან მოზარდეულის გამოზრდის შემდეგი გეგმა (ათასი სულობით): [იხ. 356 გვ.]

[მე-2 მუხლისთვის (გვ. 355)]

მოზარდეულის სახე	ს უ ლ	ა ქ ე დ ა ნ						საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში.	საკოლმ. კომლებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში.
		ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში.	საბჭ. მეურნეობებში: საქ. სსრ მიწათმოქმედების სახ. კ-ტისა (მეცხოვ.)	საბჭ. მეურნეობებში: საჯამადო მრეწველობის სახ. კ-ტისა.	ცეკავშირის კოოპ. მეურნეობანი.	მძიმე მრეწვ. სახ. კ-ტის მუშათა მომარაგ. განყოფილება.	სხვა საბჭ. მეურნეობებსა და მუშათა მომარაგების განყოფილებებში.		
ხბო	310,46	4,06	1,2	0,1	0,21	0,02	2,53	19,4	287,0
ზაქი	27,1	—	—	—	—	—	—	1,4	25,7
ღორი	434,58	19,58	2,6	0,12	—	0,26	16,6	22,0	393,0
ბატკანი და ციკანი .	500,4	60,5	39,5	—	0,42	—	20,58	77,4	362,5
კვიცი	17,36	0,76	9,26	—	—	—	6,5	1,5*)	15,1

*) კოლექტიურ მეურნეობებში.

[მე-3 მუხლისთვის (გვ. 357)]

ს ე ქ ტ ო რ ე ბ ი	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი: ს უ ლ	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი: აქედან ძროხა	ღ ო რ ი	ცხვარი და თ ხ ა	ც ხ ე ნ ი
ყველა სისტემის საბჭ. მეურნეობებში . . .	20,7	9,7 9,7	28,1	175,0	6,3
მათ შორის საქართ. სსრ მიწათმოქმედ. სახ. კ-ტის მეცხოვ. საბჭოთა მეურნეობ. .	5,69	3,07	3,1	119,9	1,17**)
საჯამადო მრეწვ. სახ. კომ-ტი	0,41	0,17	0,41	1,64	—
ცეკავშირი	0,85	0,41	—	1,64	—
საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში .	62,0	22,3	33,0	234,1	2,15

**) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახ. კომ-ის ცხენთსაშენებლებში,

№ 26

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულ იქნას ზემოაღნიშნული გეგმის განაწილება საქართველოს სსრ რაიონებზე.

2. საქართველოს სსრ-ში 1935 წელს ოთხფეხი საქონლის შედგენილობა საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების ხაზით მიღწევინებულ იქნას შემდეგ რაოდენობამდე (ათასი სულობით): [იხ. 356 გვ.].

დამტკიცებულ იქნას საქონლის რაოდენობის გადიდების აღნიშნული გეგმის განაწილება ცალკეულ სისტემებსა და რაიონებზე.

3. ვინაიდან საქართველოს სსრ მთელ რიგ რაიონებში ფურკამეჩები გამოიყენებიან საწევი ძალის სახით, რის გამოც ჰკარგავენ პროდუქტიული საქონლის თვისებას და უნარს შემდგომი რეპროდუქციისათვის, კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნახირის ყველა ფურკამეჩი და მთლად დედალი მოზარდეული ჩაყენებულ იქნას საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში და განთავისუფლდეს სასოფლო-სამეურნეო მუშაობისაგან.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტებს—უზრუნველყონ ამ ღონისძიების განხორციელება 1935 წ. აგვისტოს 1-მდე.

4. დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ-თვის 1935 წელს კოლმეურნეთაგან და ერთპიროვნულ მეურნეთაგან საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისათვის ხბოების კონტრაქტაციის შემდეგი გეგმა და საბჭოთა მეურნეობებიდან საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისათვის საქონლის მიყიდვის გეგმა (ათასი სულობით):

ა) ხბოების კონტრაქტაცია კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთაგან 6,3;

ბ) საბჭოთა მეურნეობებიდან საქონლის მიყიდვა საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისათვის:

მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა	1,5
ღორისა	1,1
ცხვრისა	2,7

დამტკიცებულ იქნას ამ გეგმის განაწილება—ღორისა და ცხვრის მხრით საქართველოს სსრ რაიონებზე.

მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაზე საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისათვის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მიყიდვის რაიონობითი გეგმა.

5. „სსრ კავშირში მეცხოველეობის განვითარების 1935 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. აპრილის 27-ის დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 22 №-ი, მუხ. 168) გავრცელებულ იქნას იმ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებზე, რომელთაგანაც დაიკონტრაქტდება და შეისყიდება ხბოები საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისათვის, ხორცისა და რძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაბარების შეღავათები, რაც დადგენილია იმ კოლმეურნეთათვის, რომელთაგანაც დაიკონტრაქტება ხბოები უძროხო კოლმეურნეების დახმარების წესით,— 20%-ის მონაკლების სახით სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ნორმაზე და 25%-ის მონაკლებ, სახით—რძის ჩაბარების ნორმაზე, და აგრეთვე ნება დაერთვას კოლექტიური მეურნეობების გამგეობათ, ამის გარდა, დაურიცხონ იმ კოლმეურნეებს, რომელთაგანაც დაკონტრაქტებულია ხბოები საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისათვის, 10-15 შრომა-დღე თვითეულ გამოზრდილ და ჩაბარებულ ხბოზე.

6. კოლმეურნეთათვის ძროხისა და წვრილფეხა საქონლის შეძენაში დახმარების გაწევის მიზნით მიეყიდოს კოლმეურნეებს 1935 წელს საქართველოს სსრ-ში შემდეგი რაოდენობის მოზარდეული: საბჭოთა მეურნეობებიდან, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან და უძროხო კოლმეურნეთათვის ხბოების კონტრაქტაციით (ათასი სულობით):

საბჭოთა მეურნეობებიდან კოლმეურნეებისათვის მოზარდეულის მიყიდვის გეგმა	საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან კოლმეურნეებისათვის მოზარდეულის მიყიდვის გეგმა.			უძროხო კოლმეურნეებისათვის ხბოების კონტრაქტაციის გეგმა.
გოჭი	ხბო	გოჭი	ბატკანი	
1,2	0,9	2,0	5,0	17,0

დამტკიცებულ იქნას უძროხო კოლმეურნეთათვის საბჭოთა მეურნეობებიდან, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან და ხბოების კონტრაქტაციით მოზარდეულის მიყიდვის ზემოაღნიშნული გეგმის განაწილება საქართველოს სსრ რაიონებზე.

7. საქართველოს სსრ-ში ვირებისა და ჯორების რაოდენობა 1936 წ. იანვრის 1-თვის მიღწევინებულ იქნას 29,1 ათასი სულამდე.

დამტკიცებულ იქნას ვირებისა და ჯორების რაოდენობის გადიდების ზემოაღნიშნული გეგმის განაწილება საქართველოს სსრ რაიონებზე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ შიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და იმ ცენტრალურ ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთ სისტემაში აქვთ მეცხოველეობის მეურნეობანი (საბჭოთა მეურნეობანი, მუშათა მომარაგების განყოფილებანი, კოოპმეურნეობანი),—მიაწვდინონ 1935 წ. ივლისის 10-თვის მეცხოველეობის განვითარების საგეგმო დავალებანი სათანადო მეურნეობებამდე.

წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტებს—იმავე ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზე მიაწვდინონ მეცხოველეობის განვითარების საგეგმო დავალებანი თავიანთ სისტემის საბჭოთა მეურნეობებამდე, ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებამდე, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებამდე, მუშათა მომარაგების განყოფილებებამდე და სხვა მეურნეობებამდე, აგრეთვე სასოფლო საბჭოებამდე და უზრუნველყონ, რათა ამ უკანასკნელებმა მიაწვდინონ 1935 წ. ივლისის 20-მდე საგეგმო დავალებანი ცალკეულ საკოლმეურნეო კომლებამდე და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებამდე.

განისაზღვროს საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე, საკოლმეურნეო კომლებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე მოზარდეულის გამოზრდის გეგმის მიწვდენის შემდეგი წესი:

ა) საბჭოთა მეურნეობები და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები მიიღებენ მოზარდეულის გამოზრდის გეგმას საბჭოთა მეურნეობებსა და ფერმებში საქონლის რაოდენობის ზრდის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად; ამასთანავე ანგარიშში მიღებულ უნდა იქნას სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა და კოლმეურნეებისათვის მოზარდეულის მიყიდვის გეგმის აღსრულება;

ბ) საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ მოზარდეულის გამოზრდის გეგმა მიიწვდინება სასოფლო საბჭოებამდე, რომლებიც მიაწვდენენ ამ გეგმას საკოლმეურნეო კომლებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე, თვითეული მეურნეობის კონკრეტული პირობების ანგარიშში მიღებით.

9. ჯიშიანი საქონლის რეპროდუქციის მასური გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში:

ა) თუშური ცხვრის სახელმწიფო საჯიშე;

ბ) მთა-ხევსურული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რესპუბლიკანური საჯიშე;

გ) მეგრული თხის რესპუბლიკანური საჯიშე.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტს და სიღნაღისა, გურჯაანისა, თელავისა, საგარეჯოს, ტფილისისა, თიანეთისა, ყაზბეგისა, დუშეთისა, მარტვილისა, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის სარაიონო კომიტეტებს—იხმარონ კონკრეტული ღონისძიებანი საქონლის ჯიშიანობის საქმეში მუშაობის გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ-რა საკვები ბაზის განვითარება და საჯიშეების რაიონთა დაკომპლექტება საუკეთესო ზოოტექნიკოსებით და ვეტმომუშავეებით.

10. საქართველოს სსრ-ში 1936 წელს იანვრის 1-თვის საჯიშო საკოლმეურნეო ფერმების ქსელი მიღწევინებულ იქნას შემდეგ რაოდენობამდე:

ა) მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა 36-მდე, საქონლის რაოდენობით 23 ათას სულამდე;

ბ) მეღორეობისა—13-მდე, ღორების რაოდენობით 970 სულამდე;

გ) მეცხვარეობისა—11-მდე, ცხვრის რაოდენობით 13,0 ათას სულამდე;

დ) მეგრული თხისა—3-მდე, თხის რაოდენობით 270 სულამდე.

11. „სსრ კავშირში მეცხოველეობის განვითარების 1935 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. აპრილის 27-ის დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად, აეკრძალოს საბჭოთა მეურნეობებს, საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს—სახელმწიფო სარაიონო საჯიშო დავთარში ჩაწერილი ჯიშიანი და მაღალპროდუქტოვანი საქონლის და მისი მონაშენის დაკვლა; შეიძლება მხოლოდ წუნდებული, საწარმოო მიზნებისათვის უვარგისი საჯიშო საქონლის დაკვლა სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების ნებართვით.

12. 1935 წელს საქართველოს სსრ-ში ზოოტექნიკური უბნების რაოდენობა მიღწევინებულ იქნას 110-მდე, სავეტერინარო უბნებისა—120-მდე და სავეტერინარო პუნქტებისა—70-მდე.

დამტკიცებულ იქნას აღნიშნული უბნებისა და პუნქტების განაწილება საქართველოს სსრ რაიონებზე.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს 1935 წელს სარაიონო საკოლმეურნეო სკოლების მეშვეობით მომზადება:

ა) საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების გამგეების და მეცხოველე-ბრიგადირებისა—820 კაც. და ბ) საკოლმეურნეო ვეტერინარ-ფერშლებისა—320 კაც.

დამტკიცებულ იქნას კადრების მომზადების გეგმის განაწილება საქართველოს სსრ რაიონებზე.

14. განისაზღვროს 1935 წელს საქართველოს სსრ-ში თივის თიბვისა, დასილოსებისა, ველების და საძოვრების გაუმჯობესებისა და ბალახის სათესლეების დატოვების შემდეგი გეგმა:

ა) თივის თიბვა	193,2 ათას ჰექტ
ბ) დასილოსება	31.600 ტონა.
გ) ველებისა და საძოვრების გაუმჯობესება . .	60.000 ჰექტ.
დ) მრავალწლოვანი ბალახის სათესლეების დატოვება	1.200 „
ე) ერთწლოვანი ბალახების სათესლეების ტოვება	6.800 „

დამტკიცებულ იქნას აღნიშნული გეგმის განაწილება საქართველოს სსრ რაიონებზე.

15. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტებს—უზრუნველყონ ფართობების სრულად გამოყოფა, ნატურად, სათესლეებისათვის თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში და კოლექტიურ მეურნეობაში და დაამყარონ სასტიკი კონტროლი ყველა მიჩენილი ფართობის სათესლეებად შენარჩუნებისათვის.

16. დაევალოს სიღნაღისა, გურჯაანისა, საგარეჯოს, ყარაიას, ბორჩალოს, ტფილისისა, აღბულახისა, ხაშურისა, გორისა, კასპისა, თელავისა, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტებს—გვალვის გამო სათიბების გადაწვისა და მოსავლის შემცირებასთან დაკავშირებით, ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) აღირიცხოს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში ჩალის მთელი გამოსავალი და აღიკვეთოს მისი დაწვა; დაევალოს საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებს —არ დატოვონ ჩალა ლეწვის ადგილას დაფანტული (განსაკუთრებით მოსავლის კომბაინებით აღების შემდეგ) და რიგიანად დადგან ზვინებად;

ბ) არ იქნას დატოვებული ძირებად სიმინდის ფუჩეჩი (ჩალა) მოსავლის აღების შემდეგ; დაევალოს მეურნეობებს მოკრიფონ ფუჩეჩი და უზრუნველყონ მისი სათანადოდ შენახვა;

გ) უზრუნველყოფილ იქნას ნათესი ბალახის თესლად ლეწვის დროს მთელი საკალოო ნარჩენის გამოყენება საქონლის საკვებად;

დ) ნაწვერალზე (ნაღერალზე) ამოსული ბალახის მოთიბვის უზრუნველსაყოფად მოირწყას სარწყავ მიწებზე ის ნაკვეთები, რომლებიც არ იხვნება საშემოდგომო კულტურების სათესად, და აგრეთვე გამოყოფილ იქნას დანოტივებული ნაკვეთები; თანაც მოეწყოს მათი დაცვა საქონლის მიშვებით წახდენისაგან;

ე) დაითესოს ნაწვერალზე სათანადო კულტურების (მუხუდო, სიმინდი, ფეტვი) სარწყავ და დანოტივებულ ნაკვეთებზე;

ვ) გადიდებულ იქნას მოცულობითი საკვების რაოდენობა დამატებითი დასილოსებით;

ზ) აღებულ იქნას ნორჩი ლელი თივად;

თ) გამოყოფილ იქნას ურო-ბალახის სათიბი ფართობები, და მოეწყოს ამ ფართობების დაცვა საქონლის მიშვებით წახდენისაგან.

დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი რაიონობითი გეგმები: 1) ნაწვერალზე თივის მოსავლის აღების ორგანიზაციისა (10 ათას ჰექტ.); 2) ნაწვერალზე სათანადო კულტურების დათესვისა თივის და სილოსისათვის (2.000 ჰექტ); 3) ურწყავ ნაკვეთებზე მრავალწლოვანი ბალახის განმეორებით მოთიბვისა (6.300 ჰექტ.) და 4) ურო-ბალახის მოთიბვისა (12 ათას ჰექტ.).

17. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს დასამტკიცებლად კონკრეტულ ღონისძიებათა პროექტი საზაფხულო და საზამთრო საძოვრების წესიერი გამოყენებისა და გაუმჯობესებისა, საქონლის სარეკი გზების რემონტისა და საქონლის გზად საკვები ფართობებისა, ჭებისა და სხვა მისთ. მოწყობისათვის; თანაც გაითვალისწინონ ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ხარჯები 1936 წელს.

18. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტებს—უზრუნველყონ სათანადო დახმარებით კოლექტიური მეურნეობანი მათ მიერ განსახორციელებელ, საქონლისათვის საჭირო სადგომების მშენებლობაში, კერძოდ ამ მშენებლობისათვის ადგილობრივი საშენი მასალის გამოყენების საქმეში.

19. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—შეიმუშაოს, მიწათმოქმედებისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებთან და საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირთან ერთად და ათი დღის ვადაზე წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად მეცხოველეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის წამოწყებებში წვრილი ინვენტარისა და გაწყობილობის დამზადების ორგანიზაციის გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტებს—ფართოდ გაშალონ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე, მუშაობა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის აღსრულებისათვის, მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მოზარდეულის გამოზრდისა და შენარჩუნების ორგანიზაციას, უზრუნველყონ საქონელი საკვებით და დაამყარონ სამუდამოდ ხელმძღვანელობა და კონტროლი გეგმის აღსრულებისათვის.

მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის აღსრულება უნდა იდგეს საბჭოთა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში და გადაიქცეს უაღრესი მნიშვნელობის მქონე საშუალებად—სოციალისტური შეჯიბრის საფუძველზე, საბჭოთა მეურნეობების მომუშავეთა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მობილიზაციისათვის მეცხოველეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფეროში საგეგმო დავალებათა შესასრულებლად და გადამეტებით შესასრულებლად თვითეულ რაიონსა, საბჭოთა მეურნეობასა და კოლექტიურ მეურნეობაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ.პ (ბ) ც.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. ივნისის 1. № 865.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 153 №-ში 1935 წ. ივლისის 3.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

123. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

იმ მეტრობითი გამოსაღების გაუქმების შესახებ, რასაც ბათომის საქალაქო საბჭო სავაჭრო-სამრეწველო სადგომების მფლობელთ ახდევინებს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნას 1935 წ. ივნისის 1-დან ის მეტრობითი გამოსაღები, რასაც ბათომის საქალაქო საბჭო სავაჭრო-სამრეწველო სადგომების მფლობელთ ახდევინებს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. ივლისის 2. № 54/877.

ტფილისი.

---

124. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო, საკანცელარიო და სხვა არასაცხოვრებელი ხასიათის სადგომების საიჯარო ქირიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ანარიცხების გადადების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნას 1935 წ. ივლისის 1-დან საქართველოს სსრ ყველა ქალაქში, საკურორტო ადგილას და სარაიონო ცენტრში ანარიცხების გადადება ადგილობრივ ბიუჯეტში სავაჭრო-სამრეწველო, სასაწყობო, საწარმო, საკანცელარიო და სხვა არასაცხოვრებელი ხასიათის სადგომის (კულტურულ-საყოფაცხოვრებო მიზნით გამოსაყენებელი სადგომების გამოკლებით) საიჯარო ქირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან, რასაც, ქვემომდევნო მუხლებში გათვალისწინებულ საფუძვლებზე, იხდიან სათანადო შენობების მფლობელნი, როგორც სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, ისე კერძო იურიდიული და ფიზიკური პირები.

2. ზემოაღნიშნული ანარიცხები შეიტანება სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტში იმ თანხის რაოდენობით, რაც შეადგენს განსხვავებას, ერთი მხრით, მოქმედი ტარიფების კვალობაზე სათანადო კატეგორიის სადგომისათვის გამოსაანგარიშებელ საიჯარო ქირასა და, მეორე მხრით, შენობის საამორტიზაციო ხარჯების ნორმალურ პროცენტსა და აგრეთვე სადგომის იმ საექსპლოატაციო და შესანახ ხარჯებს შორის, რაც გაწეულ უნდა იქნას სათანადო ადგილობრივი საბჭოს მიერ განსაზღვრული ნორმალიზებული ბიუჯეტის შესაბამისად.

შენიშვნა. შენობის შესანახი და საექსპლოატაციო ხარჯები (აქედან სახლმმართველების შესანახი ხარჯი, კადრების მოსამზადებელი ხარჯი და სესხის პროცენტები) ჩაეთვლება შენობის მფლობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ხარჯებს იგი ფაქტიურად ეწევა.

3. დადგენილება ესე არა ვრცელდება იმ ნაციონალიზებულ შენობებზე, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მფლობელობაშია, და აგრეთვე იმ მუნიციპალიზებულ შენობებზე, რომელთა ექსპლოატაციასაც ეწევიან უშუალოდ ადგილობრივი საბჭოები.

4. დადგენილება ესე, ადგილობრივი ფინანსების დებულების 41 მუხლისა (სსრკ კან. კრ. 1926 წ. № 31, მუხ. 199 და ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 57 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი მუხ. 697), ეცნობოს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, სსრ კავშირის ცენტრალურ აღმაარულებელ კომიტეტს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. ივლისის 2. № 55/878.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება

125. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის თაობაზე“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების შესახებ.

„ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების (სსსრ კან. კრ. 1935 წ. № 32, მუხ. 252; „იზვესტიას“ 127 №-ი 1935 წ. ივნისის 1-ისა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საბავშვო სახლებისა და შრომის კოლონიების მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში.

1. რეორგანიზებულ იქნას საქართველოს სსრ-ში საბავშვო დაწესებულებანი, გადაკეთდეს-რა ეს დაწესებულებანი შემდეგი ტიპების მიხედვით:

1) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი: ა) ნორმალური ტიპის საბავშვო სახლები არსებობის საშუალებას მოკლებული ბავშვებისათვის; ბ) მშობელთა სახსარით შესანახი საბავშვო სახლები და გ) საბავშვო სახლები ძნელად აღსაზრდელთათვის;

2) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი სპეციალური საბავშვო სახლები იმ ბავშვებისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ ხანგრძლივი მკურნალობა;

3) საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი სპეციალური საბავშვო სახლები ინვალიდ-ბავშვებისათვის;

4) ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქართველოს სსრ-ში) გამგებლობაში მყოფი: ა) იზოლატორები, ბ) შრომის კოლონიები და გ) მიმღებ-განმანაწილებლები.

ამისდაშესაბამისად წინადადება მიეცეს:

ა) საქართველოს სსრ-ისა, აფხაზეთის ასსრ-ის და აჭარისტანის ასსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატებს—დაუყოვნებლივ გადასცენ ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებს უპატრონო ბავშვთა

№ 20
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავთლუღის, აფხაზეთის (ყოფილი საბავშვო კომუნა), მახინჯაურისა და შრომის კოლექტორ-განმანაწილებლები—სათანადო შტატებით, სადგომებით, ქონებით, სახარჯთაღრიცხვო ასიგნებით და სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების ფონდებით;

ბ) საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განათლების სახალხო კომისარიატებს—შეარჩიონ ერთი დეკადის ვადაზე მათ ქვემდებარე საბავშვო სახლებში სხვა ტიპის საბავშვო დაწესებულებებში გადასაცემი ბავშვები და იმავე ვადაზე გადასცენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემის საბავშვო დაწესებულებებს, ხოლო ინვალიდ-ბავშვთა და ხანგრძლივ მკურნალობა-გასაწევ ბავშვთა გამორკვეული კონტინგენტების შესახებ აცნობონ, კუთვნილებისამებრ, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს;

გ) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—„ბ" პუნქტში აღნიშნული ცნობების მიღებისას, წარუდგინონ ერთი დეკადის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ-ში ხანგრძლივ მკურნალობა-გასაწევ ბავშვთათვის ერთი საბავშვო სახლისა და ინვალიდ-ბავშვთათვის ერთი საბავშვო სახლის მოწყობის შესახებ და აგრეთვე შეიმუშაონ, იმავე ვადაზე, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, 1935 წელს ამ დაწესებულებათა შენახვის ხარჯთაღრიცხვა;

დ) ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქართველოს სსრ-ში—იხმაროს ღონისძიებანი, რათა ავჭალის შრომის კოლონია მოგვარებულ იქნას არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მისაღებად ივლისის დასაწყისიდან—ისეთი ვარაუდით, რომ 1935 წლის შუა აგვისტოდან ამ კოლონიამ შეძლოს ბავშვთა სათანადო კონტინგენტების უკლებლივ მიღება; წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს სსრ-ში—წარუდგინოს სამი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას თავისი მოსაზრებანი ამ საქმისათვის საჭირო დამატებითი ასიგნების შესახებ და აგრეთვე საჭირო გაწყობილობისა და მასალის გამოანგარიშება, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ხუთი დღის ვადაზე უნდა წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავისი დასკვნა აღნიშნული საკითხების შესახებ.

3. საჭიროდ იქნას ცნობილი საქართველოს სსრ-ში სამი ახალი მიმღებ-განმანაწილებლის მოწყობა.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს სსრ-ში—აღძრას საკითხი ამის თაობაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, შეუთანხმოს-რა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საბავშვო კომისიას აღნიშნულ დაწესებულებათა სამყოფელი პუნქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქართველოს სსრ-ში—ორი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოცემისა, ხოლო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—სამი თვის ვადაზე მათ სისტემაში სათანადო საბავშვო დაწესებულებათა მოწყობის დღიდან გამოარკვიონ თვითეული საბავშვო სახლისა და შრომის კოლონიისათვის შრომისა და პროფესიის სახეები, რომლებისთვისაც უნდა ამზადონ ბავშვები.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განათლების სახალხო კომისარიატებს—გადასინჯონ ერთი თვის ვადაზე საბავშვო სახლების მოწაფეთა კონტინგენტები და გაანთავისუფლონ ეს სახლები მოზარდობას-გადასულთაგან, ვინც 14 წლისაზე უფროსი იქნება, და წარგზავნონ ისინი ფაბრიკა-ქარხნების სკოლებში და საბჭოთა მეურნეობების სკოლებში, ან სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლექტიურ მეურნეობებში სამუშაოდ და საწარმოო ბრიგადებში სასწავლებლად.

დაევალოს საწარმოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და ხელმძღვანელებს—უცილობლად მიიღონ სამუშაოზე საბავშვო სახლებიდან წარგზავნილი მოზარდობას-გადასულნი და უზრუნველყონ ისინი საცხოვრებლით.

დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საჭამადო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ინსპექციას საქართველოს სსრ-ში და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოს:

ა) შეუთანხმონ ორი დეკადის ვადაზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს იმ ადგილების რაოდენობა, რაც 1935 წელს დაეთმობათ საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლექტიურ მეურნეობებში სამუშაოდ მოსათავსებელ ზემოაღნიშნულ მოზარდობას-გადასულთ;

ბ) უზრუნველყონ საბავშვო დაწესებულებებისაგან გამოსული ყველა მოწაფის სამუშაოზე მოწყობა მათ ქვემდებარე საწარმოებში, მოწაფეთა მიერ მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს, რათა საბავშვო დაწესებულებათა მოწაფეებმა გაიარონ საერთო განათლების კურსი:

ა) ნორმალური ტიპის საბავშვო სახლების მოწაფეებმა—საერთო სკოლებში; ამასთანავე, მეთვალყურეობა მათი წარმატებით სწავლებისათვის დაეკისროს საბავშვო სახლების გამგეთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ძნელადსაზრდელთა საბავშვო სახლების მოწაფეებმა და შრომის კოლონიების მოწაფეებმა—უშუალოდ თვით საბავშვო სახლებსა და კოლონიებში.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განკუთვნოს ორი თვის ვადაზე საბავშვო დაწესებულებებისათვის მათ ფაქტურ სარგებლობაში ქონებული მიწის ნაკვეთები თვით მოწაფეების მიერ დასამუშავებლად (ბაღად, ბოსტნად, სასურსათო კულტურების დასათესად და სხვა მისთ.) და აგრეთვე მიუჩინოს იმ საბავშვო დაწესებულებათ, რომელთაც არა აქვთ სარგებლობად ასეთი ნაკვეთები, ან აქვთ არასაკმარისი რაოდენობით, სათანადო მიწის ფართობები.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—განსაზღვროს და წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად თვითეული საბავშვო დაწესებულების შენახვის ნორმები, ხარჯთაღრიცხვები და გაწყობილობით და მასალით მომარაგების გეგმები.

9. განთავისუფლებულ იქნას საბავშვო სახლებისა, შრომის კოლონიებისა და მიმღებების ყველა სამეურნეო ოპერაცია ყოველგვარი გადასახადით დაბეგვრისაგან, სხვათა შორის ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

10. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკის პროკურორს—მისცეს სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს დირექტივა სისხლის სამართლის წესით საადმინისტრაციო-სამეურნეო პერსონალის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ მატერიალური რესურსების გატაცებისა, მოწაფეთა გაქცევისა და ამ გაქცევის დამალვისათვის.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ერთი თვის ვადაზე საბავშვო სახლებში შინაგანრიგების წესები, დაამყაროს-რა ამ წესებით როგორც წახალისების ღონისძიებანი მოწაფეთ კარგი ყოფა-ცხოვრებისათვის, ისე დასჯის ღონისძიებანი ჩადენილი ქმედობისათვის.

12. საბავშვო სახლებისა და შრომის კოლონიების მომუშავეთა შედგენილობის გაუმჯობესების მიზნით:

ა) დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გადასინჯოს 1935 წ. აგვისტოს 1-მდე საბავშვო სახლებისა და შრომის კოლონიების გამგეთა და აღმზრდელთა შედგენილობა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მომზადებული არიან ისინი ამ სამუშაოებისათვის;

ბ) დამყარებულ იქნას წესი აღნიშნულ თანამდებობებზე დასანიშნ პირთა პერსონალურად დამტკიცებისა—განათლების სახალხო კომისარიატის მიერ;

გ) დაევალოს საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—გამოყოს, მრეწველობის ორგანოებთან შეთანხმებით, საწარმოთაგან საჭირო რაოდენობის კვალიფიციური მუშები სახელოსნოების ხელმძღვანელებად საბავშვო სახლებსა და შრომის კოლონიებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს — მოყოს 1935 წელს პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლებისა და პედაგოგიური ტექნიკუმების კურსდამთავრებულთაგან საჭირო რაოდენობის პირნი საბავშვო სახლებსა და შრომის კოლონიებში სამუშაოდ;

ე) წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—დააწესოს, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, და ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სამუშაო ხელფასის გადიდებული განაკვეთები იმ პირთათვის, რომელნიც მიიღებენ სამუშაოდ საბავშვო სახლებსა და შრომის კოლონიებში; დაწესებულ იქნას, რომ ამ პირებს არ შეიძლება ეძლეოდეთ იმაზე ნაკლები სამუშაო ხელფასი, რასაც ისინი იღებდნენ თავიანთ უკანასკნელ სამუშაო ადგილას.

13. მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის შედგენილობაში საბავშვო სახლების ხელმძღვანელობის სამმართველო.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს ხუთი დღის ვადაზე დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საშტატო კომისიას ამ სამმართველოს შტატი.

14. საბავშვო სახლებისა და შრომის კოლონიების მდგომარეობისათვის მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლის უზრუნველყოფისა და მათთვის საჭირო დახმარების გაწევის მიზნით, მოწყობილ იქნას თვითეულ ამ დაწესებულებასთან ზედამხედველი საბჭო საშეფო მუშათა ორგანიზაციებისა, საწარმოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების წარმომადგენელთაგან.

წინადადება მისცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქართველოს სსრ-ში—შეიმუშაონ, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, და წარუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საბავშვო სახლებთან და შრომის კოლონიებთან არსებული ზედამხედველი საბჭოების დებულება.

15. წინადადება მიეცეს იმ ქალაქების საქალაქო საბჭოებს, რომელთა ტერიტორიაზედაც საბავშვო სახლებია, მოაწყონ სახალხო განათლების სექციებთან ნებაყოფლობითი ინსპექტორების განსაკუთრებული ჯგუფები საბავშვო სახლების მუშაობის სისტემატურად შემოწმებისა და ბავშვთა მოვლისა და აღზრდის სათანადო პირობების უზრუნველყოფისათვის მეთვალყურეობისათვის გაწევის მიზნით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დებულება აღნიშნული ნებაყოფლობითი ინსპექტორების შესახებ.

II.

ბავშვთა უპატრონობის წინასწარ აღკვეთის სფეროში.

16. პასუხისმგებლობა ობოლი ბავშვების თავის დროზე მოწყობისა და უზრუნველყოფისათვის (მეურვის დანიშვნა, საბავშვო სახლში, წარმოებაში, კოლექტიურ მეურნეობაში და სხვა მისთ. წარგზავნა) დაეკისროს სათანადო საქალაქო (ქ. ტფილისში-სარაიონო) და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებს.

17. წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროკურორს:

ა) აძლიოს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად ის მეურვენი, რომელნიც გამოიყენებენ მეურვეობას ანგარების მიზნით (საცხოვრებელი ფართობის დაჭერა, მშობლების სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონების გამოყენება და სხვა მისთ.) და დასტოვებენ მეურვეობაში მყოფ ბავშვებს უმეთვალყურეოდ და საჭირო დახმარების გაუწევლად, და, კერძოდ, სასოფლო საბჭოების მიერ დანიშნული მეურვენი, რომელნიც არ იხმარებენ ობლად დარჩენილი ბავშვების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებას, არ გამოიჩენენ აღზრდისათვის საჭირო მზრუნველობას და თავს მიანებებენ, რომ ბავშვები დაადგნენ მოხეტიალობის გზას;

ბ) აძლიოს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სასოფლო საბჭოების თავმჯდომარენი ობლად დარჩენილი ბავშვების დასაცავად ღონისძიების მიუღებლობისათვის და აღსაზრდელად მზრუნველობის გაუწევლობისათვის.

18. დაეკისროს კოლექტიური მეურნეობების საურთიერთო დახმარების სალაროებს, როგორც ერთ-ერთი, უაღრესი მნიშვნელობის მქონე ამოცანა, ობოლი ბავშვების რჩენა (შენახვა) და იმ კოლმეურნეთა ბავშვების დახმარება, რომელნიც დროებით გაჭირვებას განიცდიან.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს— აღძრას სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი, რათა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი, კოლექტიური მეურნეობების საურთიერთო დახმარების სალაროებისათვის გამოყოფილ იქნას სათანადო დოტაცია განსაკუთრებული ფულადი ფონდიდან.

III.

ქუჩებში ბავშვთა ხულიგნობასთან ბრძოლის ორგანიზაციის სფეროში.

19. დაევალოს მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებს—გააძლიერონ ბრძოლა ქუჩებში ბავშვთა და მოზარდთა ხულიგნობის წინააღმდეგ (ჩხუბი, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსვლელთა შეურაცხყოფა, ტრამვაის ბუფერებზე და საფეხურებზე ზეიმობა (მიმოსვლა) და სხვა მისთ.).

20. მოწყობილ იქნას ტფილისის საქალაქო და სარაიონო საბჭოებთან, ქუთაისისა, ფოთის, ბათომისა და სოხუმის საქალაქო საბჭოებთან ბავშვთა უპატრონობასა და მეთვალყურეობასთან ბრძოლის სექციები.

დაეკისროს ამ სექციებს, ძირითადი ამოცანის სახით, საწარმოთა, დაწესებულებათა და საბინაო-საყოფაცხოვრებო კოოპერატიულ ამხანაგობათა საზოგადოებრიობის ორგანიზაცია ქუჩებში ბავშვთა და მოზარდთა ხულიგნობის ლიკვიდაციის საქმისათვის.

მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქართველოს სსრ-ში—წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დებულება ამ სექციების შესახებ.

21. დაევალოს საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განათლების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველყონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანიზაციებისაგან საბავშვო სახლებში ბავშვთა უუარო მიღება იმ ქალაქებში, სადაც მიმღებ-გამნაწილებლები არ არსებობს, და აგრეთვე რკინის გზებზე.

IV.

მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და მცირეწლოვანთა მიერ სამართალდარღვევასთან ბრძოლის ღონისძიებათა სფეროში.

22. დაწესებულ იქნას, რომ ბავშვთა თავაწყვეტილობისა და ქუჩაში ხულიგნობისათვის მათ მშობლებს შეიძლება დაედვას საადმინისტრაციო წესით ფულადი ჯარიმა ორას მანეთამდე.

23. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს—მისცეს სასამართლო ორგანოებს დირექტივა—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 405 მუხლის წესისამებრ მშობლებისა და მეურვეების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ბავშვების მოქმედებისათვის, რომლითაც მიყენებულია მატერიალური ზარალი.

24. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატის ორგანიზაციებს (კერძოდ, სასწავლებლების დირექტორებს) და მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებს—აცნობონ ხოლმე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მშობელთა მუშაობის ადგილის მიხედვით, როდესაც მშობლები არ უწევენ ზედამხედველობას თავიანთი ბავშვების ყოფა-ქცევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისია და მისი ადგილობრივი ორგანოები.

არასრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის ფუნქციები დაეკისროს საქალაქო, სარაიონო და სასოფლო საბჭოებს.

საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლის გაწევა მუშაობის ამ დარგისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

26. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოებს—აღძრან სასამართლო ორგანოების წინაშე იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები არა უზრუნველჰყოფენ სათანადო მეთვალყურეობას ბავშვების ყოფა-ქცევისათვის, საკითხი მშობლებისათვის ბავშვის ჩამორთმევისა და მშობლების ხარჯზე საბავშო სახლში მოთავსების შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ჟღენტი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **გ. სტურუა.**

1935 წ. ივლისის 1. № 60/898.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 153 №-ში 1935 წ. ივლისის 10.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 39. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1¼ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გაფაეცა სტამბას 10/VIII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII; ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. № 3944 საქ. სსრ კომ. საბჭოს სტამბა შეკვ. № 985